

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №19
2013 წლის 16 ოქტომბერი

ქ. ბათუმი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №001 "ტექნიკური რეგლამენტის „საკლასიფიკაციო საზოგადოების აღიარების წესის“ დამტკიცების შესახებ" ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„საქართველოს საზღვაო კოდექსის" 44¹-44¹⁶ მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

საქართველოს კანონის "საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" (6386-IX, სარეგისტრაციო კოდი 400010020.05.001.016808, ვებგვერდი, 19/06/2012) ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს ბრძანება №001 "ტექნიკური რეგლამენტის „საკლასიფიკაციო საზოგადოების აღიარების წესის“ დამტკიცების შესახებ".

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2012 წლის 17 სექტემბრიდან.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ზაზა მახარაძე

